საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სალომე გველესიანის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	3	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე გველესიანის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სალომე გველესიანის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი სალომე გველესიანი არის კორექტული, კომუნიკაბელური, გაწონასწორებული და გამოირჩევა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. ამასთან, კანდიდატს სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და სამსახურებრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	22	25	სალომე გველესიანი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ სალომე გველესიანს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-6 ადგილი.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	კანდიდატს არ აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. ამასთან, მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	სალომე გველესიანი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარით, იგი გასაგები ენით გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობა. თუმცა, საჯარო მოსმენაზე კანდიდატს ეტყობოდა მცირედი მღელვარება, რის გამოც უჭირდა საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად და დასაბუთებულად გადმოცემა. სალომე გველესიანის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ იგი თანმიმდევრულად და ნათლად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს. ამასთან, მისი მსჯელობა არის ცხადი და დამაჯერებელი. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე

[1] სამაგისტრო ნაშრომი: „სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება“.

			თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.
პროფესიული თვისებები	14	15	სალომე გველესიანი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, მიზანდასახულობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. მნიშვნელოვანია, რომ ცოდნის გაღრმავებისა და ახალი უნარების შეძენის მიზნით, იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგში.
პროფესიული აქტივობა	3	5	სალომე გველესიანის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ იგი მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში. თუმცა, კანდიდატი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამართლებრივი პუბლიკაციები.
ქულათა ჯამი	90	100	

დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი სალომე გველესიანი კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით სალომე გველესიანის შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების

	შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, სალომე გველესიანის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ სალომე გველესიანის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ საჯარო მოსმენისას გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ სალომე გველესიანის პირად თვისებებს რეკომენდატორები და მასთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე, პატიოსანი, თავდაბალი და კორექტული. აგრეთვე, უთითებენ იმასაც, რომ კანდიდატი დიდი პასუხისმგებლობითა და გულისხმიერებით ეკიდება დაკისრებული მოვალეობების შესრულებას. სალომე გველესიანმა საჯარო მოსმენაზე დატოვა კორექტული, გაწონასწორებული და თავშეკავებული პიროვნების შთაბეჭდილება. მნიშვნელოვანია, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნებით და იგი სამსახურებრივ, ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. კერძოდ, დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმა, კარგად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ სალომე გველესიანის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები უთითებენ, რომ იგი არის პრინციპული, პიროვნულად მტკიცე, შეუვალი, ზეგავლენის მიმართ მედეგი და გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი. კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა ითქვას, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, სალომე გველესიანი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით. *<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა, სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და იგი

	სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. აღსანიშნავია, რომ გამოკითხული რეკომენდატორები სალომე გველესიანის დახასიათებისას უთითებენ, რომ იგი სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა თავდაჭერილობითა და საკუთარი ემოციების მართვის უნარით. რაც შეეხება *<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს,</u>* სალომე გველესიანის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის კომუნიკაბელური, გულისხმიერი, კვალიფიციური და კოლეგებში გამოირჩევა კარგი რეპუტაციითა და ავტორიტეტით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატის შესახებ ინტერენეტ სივრცეში ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე ჩანს, რომ იგი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა სასწავლო შეხვედრებში. *<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის</u>* შესახებ, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სალომე გველესიანს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება და იგი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტარესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კანდიდატ სალომე გველესიანის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

	პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნასთან დაკავშირებით* უნდა აღინიშნოს, რომ სალომე გველესიანი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ასევე, მასთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ კანდიდატი მეტნაკლებად იცნობს საქართველოს კონსტიტუციის ნორმებს და ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. აღსანიშნავია, რომ სალომე გველესიანს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იგი იყო იუსტიციის უმაღლესი სკოლის XIV ჯგუფის მსმენელი და იუსტიციის მსმენელთა საერთო საკვალიფიკაციო სიაში დაიკავა მე-6 ადგილი. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2020 წლის 15 დეკემბერს სალომე გველესიანთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი იყო გაწონასწორებული და ზრდილობიანი. თუმცა, მის მიერ გაცემული პასუხები ზოგჯერ არ იყო სრულყოფილი და ამომწურავი. ასევე, სალომე გველესიანს, ვფიქრობ, მისი გამოცდილების გათვალისწინებით უჭირდა, რომ საკუთარი მოსაზრებები გამოეხატა თამამად, თავისუფლად, დამაჯერებლად, არგუმენტირებულად და განევითარებინა სიღრმისეული სამართლებრივი მსჯელობა. სალომე გველესიანის *სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის* შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს არ აქვს ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. იგი ამჟამად არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს თანამშრომელი და ასრულებს ამავე სასამართლოს მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის ე.წ. „მწერალი“ თანაშემწის მოვალეობას. გამოვლინდა, რომ კანდიდატს გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი. კანდიდატის *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს* რაც შეეხება, ამ კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ სალომე გველესიანი გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარით, იგი გასაგები ენით გამოხატავს საკუთარ შეხედულებებს და გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით

[2] იხ. სალომე გველესიანთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=bB_kHF1M6mg

	მოსმენის შესაძლებლობა. თუმცა, როგორც აღვნიშნე საჯარო მოსმენაზე კანდიდატს ეტყობოდა მცირედი მღელვარება, რის გამოც უჭირდა საკუთარი პოზიციის დამაჯერებლად და დასაბუთებულად გადმოცემა. სალომე გველესიანის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ იგი თანმიმდევრულად და ნათლად აანალიზებს სამართლებრივ საკითხებს. ამასთან, მისი მსჯელობა არის ცხადი და დამაჯერებელი. მნიშვნელოვანია, რომ მასში რაიმე თვალსაჩინო გრამატიკული შეცდომა არ გამოვლენილა. *<u>პროფესიული თვისებების მახასიათებელთან</u>* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ სალომე გველესიანი გამოირჩევა მიზანდასახულობით, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების შესაძლებლობით. სალომე გველესიანის *<u>პროფესიული წვრთნის, აკადემიურ მიღწევების და პროფესიული აქტივობის</u>* შესახებ მის მიერ განაცხადში მითითებული ინფორმაციის თანახმად შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი არის სიახლეების მიმართ ღია და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. მნიშვნელოვანია, რომ იგი ცოდნის გაღრმავებისა და ახალი უნარების შეძენის მიზნით, აქტიურად იღებს მონაწილეობას მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, სალომე გველესიანს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა ტესტირება და გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი. თუმცა, იგი არ არის დაკავებული სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობით და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ სალომე გველესიანთან დაკავშირებით შესაძლებელია, ითქვას რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნულის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კი დადგინდა, რომ მის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 90 ქულას. ამრიგად, ვინაიდან უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო

[3] სამაგისტრო ნაშრომი: „სასამართლო გადაწყვეტილებების კლასიფიკაცია და მათი მიღების წანამძღვრების ურთიერთმიმართება“.

	სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05 · 2021